ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 27 აპრილი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 34 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 34 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

მოწვევით: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს, ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბესიკ ნაჭყებია.

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთში ნატოს დღეების ფარგლებში, ტურნირი ჩატარდა მინი ფეხბურთში საჯარო მოხელეთა შორის, სადაც სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მერიისა და საკრებულოების ცამეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ფინალურ შეხვედრაზე ერთანეთს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ჩხოროწყუს მერიის გუნდები შეხვდნენ, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუნდის გამარჯვებით დამთავრდა და პირველი ადგილი დაიკავა. სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიულოცა თანაგუნდელებს გამარჯვება და წარმატებები უსურვა მათ, როგორც პირად ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის,

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი:დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

5. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

6. სხვადასხვა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ნასარაია, კ. ნასარაია, ლ. ცატავა, ი. ნადარაია, თ. გულუა, გ. ქაძანაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რატომ შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ბიუჯეტში 13,531 ლარით კვების ხარჯი და სად იქნა მიმართული ეს თანხა?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ ეს იყო ტენდერიდან და აღსაზრდელების, საბავშვო ბაღში გამოუცხადებლობიდან მიღებული ეკონომია, რომელსაც არანაირი შემხებლობა არ ჰქონდა კვების რაციონის შემცირებასთან. აღნიშნული თანხა კი მიიმართება, ისევ საბავშვო ბაღებში სათამაშოების და საოფისე ინვენტარის შესასყიდად.

მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რატომ შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისთვის" (ქალთა ფეხბურთი) მივლინების ხარჯები 3270,0 ლარით და სად იქნა მიმართული?

დ. ჭოჭუა - განმარტა, რომ აღნიშნული თანხა მიმართულ იქნა კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რომელ ჟურნალ-გაზეთების შესაძენად იყო მიმართული 1440,0 ლარი?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ დასმულ კითხვაზე თვითონ ვერ გასცემდა პასუხს და აღნიშნულზე მიემართა, მერიის შესაბამისი სამსახურისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 84.1 ათასი ლარის ასახვა ხორციელდება ადგილობრივ ბიუჯეტში, რომელიც მიიმართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინასებლად: 69.5 ათასი ლარი - პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებებზე; 5,0 ათასი ლარი - პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე. პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე მიიმაეთება 2,5 ათასი ლარი; 7,1 ათასი ლარი - პრიორიტეტის „განათლება" ასიგნებებზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 10669,9 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 1 (კ. ლატარია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ნასარაია, კ. ნასარაია, მ. ჭოხონელიძე, ი. ნადარაია, თ. გულუა, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N19 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით

გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც დადგენილების პრეამბულას სამართლებრივ საფუძვლად დაემატა საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ" და დადგენილების მე-6 დანართის მე-5 პუნქტში არსებული ჩანაწერი „გამგეობა" შეიცვალა „მერიით". გამომსვლელის განცხადებით, დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ნასარაია, კ. ნასარაია, მ. ჭოხონელიძე, ი. ნადარაია, თ. გულუა, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N20 ოქმს თან ერთვის)

3. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი:დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად დაემატა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და დადგენილების დანართი N1-დან ამოღებულ იქნა საჯარო ინფორმაციის ბეჭდური მედიის საშუალებით გამოქვეყნების ვალდებულების შესახებ ჩანაწერი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ნასარაია, კ. ნასარაია, მ. ჭოხონელიძე, ი. ნადარაია, თ. გულუა, გ. ქაძანაია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N21 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირვანდელი შემოსავლები დაგეგმილ იქნა 8243,8 ათასი ლარის ოდენობით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი დაზუსტებულმა ბიუჯეტმა საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 11878,7 ათასი ლარი. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 11961,7 ათასი ლარი და იგი შესრულებულია 100,7%-ით. ხოლო საგასავლო ნაწილში 2017 წლის გეგმა შეადგენდა 13791,4 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 11966,9 ათასი ლარი (86,6%). წარმოდგენილი პროექტი

აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ნასარაია, კ. ნასარაია, მ. ჭოხონელიძე, ი. ნადარაია, თ. გულუა, ქამანაია, მიქაბერიძე, კ. ლატარია, ა. ქირია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N24 ოქმს თან ერთვის)

5. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიასმ საკრებულოს განსახილველად წარუდგინა განკარგულების პროექტი: „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტით ცვლილება შედის ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრულ ფიჭური სატელეფონო

მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯებში. კერძოდ: მერიის თანამშრომელთათვის ხდება 5 ლარიანი სასაუბრო ლიმიტის განსაზღვრა. ასევე განსაზღვრულ ლიმიტებში ინტერნეტისთვის გათვალისწინებული თანხა იზრდება 5 ლარით. ზემოთ აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა ყოველთვიური დამატებითი ხარჯი 310 ლარის ოდენობით, რაც მობილიზებული იქნება ბიუჯეტში არსებული თავისუფალი სასხრებიდან. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა მერიის მიერ წარმოდგენილი ცვლილება განკარგულების პროექტში. პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ნასარაია, კ. ნასარაია, მ. ჭოხონელიძე, ი. ნადარაია, თ. გულუა, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N25 ოქმს თან ერთვის)

6. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ ტრიბუნასთან სთხოვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ხობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსს სპეციალისტს ბესიკ ნაჭყებიას საკრებულოს წევრებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

მოისმინეს. ბ. ნაჭყებია - გამომსვლელმა ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოში მწვავედ დგას აზიური ფაროსანას მასიური გამრავლებით გამოწვეული პრობლემები, სოფლის მეურნეობაში ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის შექმნილია სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც გაერთიანებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტები, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები, დამტკიცებულია სტრატეგიული პროგრამა და შესაბამისი ბიუჯეტი. მიმდინარე წელს, ქვეყნის მასშტაბით, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის 150-ზე მეტი ერთეული სპეციალური ტექნიკის

გამოყენებაა დაგეგმილი. 2018 წელს მავნებლის წინააღმდეგ სახელმწიფო ქიმიურ ღონისძიებებს განახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, ასევე კერძო სავარგულებზე, სადაც აუცილებელია სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენება. აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო კამპანია აქტიურ ფაზაში გადავიდა, აბაშის მუნიციპალიტეტში უკვე ფუნქციონირებს საკოორდინაციო შტაბი, სადაც თავს იყრის აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით ყველა ტიპის ინფორმაცია, რომლის დამუშავების შემდეგ იგეგმება საველე სამუშაოები. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთი ტრაქტორი და 8 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი იმუშავებს, მათ შორის-ხუთი ავტომობილი აღჭურვილია თერმული ნისლის აგრეგატით, ხოლო სამზე დამონტაჟებულია მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა. ადმინისტრაციულ ერთეულებში დამონტაჟდა 158 ფერომონი, ხოლო საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შესაწამლად დარიგებულია ბიფეტრინის შემცველი პრეპარატები ფერემონებთან ერთად. აღნიშნული პროგრამა 2017 წელს ფაროსანას წინააღმდეგ განხორციელებული მასშტაბური ღონისძიებებით მიღებულ გამოცდილებას, საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების რეკომენდაციებს ემყარება და მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: აქტიურ საინფორმაციო კამპანიას - სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის დროულ და სრულ ინფორმირებულობას მავნებლის ბიოლოგიის, მის წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ. სახელმწიფო მოსახლეობას აძლევს რეკომენდაციებს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისათვის აუცილებელი პრეპარატების, მექანიკური საშუალებებისა და ტექნიკის გამოყენების შესახებ. მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს (ქიმიური წამლობას) - წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო განახორციელებს მის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების დამუშავებას, რაც შეეხება მოსახლეობას აქ სპეციალური ტექნიკით, თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდება ქუჩები, სიმინდის ნათესი მასივები, ტყისპირები, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების მიმდებარე ტერიტორიები და ისეთი ნაკვეთები, სადაც მაქსიმალურად შესაძლებელი იქნება მავნებლის პოპულაციის შემცირება. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მსუბუქი საავიაციო ტექნიკა შესაბამისი გარემოს დაცვითი ნორმებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით. მოსახლეობამ კი დროულად უნდა ჩაატაროს ბრძოლის ღონისძიებები (მექანიკური, ქიმიური) საკუთარ საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე, რაც შეამცირებს აზიური ფაროსანას სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მიყენებულ ზიანს და მავნებლის გავრცელების რისკებს. აზიური ფაროსანა მცენარეზე სახლობს ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. მავნებელი იკვებება ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენით, უპირატესობას ანიჭებს ნაყოფს, რომელსაც მჩხვლეტავ-მწუწნავი პირის აპარატით ძლიერ აზიანებს. იზამთრებს საცხოვრებელ

სახლებში, ცხოველთა სადგომებში, ფარდულებში, სხვენზე, კარისა და ფანჯრის ღრიჭოებში; ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფუღუროებში. მნიშვნელოვანია, რომ მასპინძელ მცენარეებზე ინტენსიური დაკვირვება და მონიტორინგი ნარგავებსა და ბაღებში მაისიდან დაიწყოს, მაშინ როცა დღეღამური საშუალო ტემპერატურა 15^0 C მიაღწევს. პირველი წამლობა ტარდება გამოზამთრებიდან გამოსული იმაგოების წინააღმდეგ კოლხეთის დაბლობზე - მაისში. ინსექტიციდების (ქიმიური ნივთიერებები) შესხურება ძირითადად ტარდება თხილნარებში, რადგან ამ პერიოდისთვის მავნებელი უპირატესად ამ კულტურაზეა დასახლებული. მეორე წამლობა ტარდება ნიმფების მასიური გამოჩეკვის შემდეგ, კოლხეთის დაბლობზე - მაისის ბოლოს - ივნისის დასაწყისში. ინსექტიციდების შესხურება ძირითადად ტარდება თხილნარებში, ამავე პერიოდში ტარდება წამლობა ხეხილოვან და ბოსტნეულ კულტურებზეც. მესამე წამლობა ტარდება სიმინდის და სხვა ნათესებში (სოიო, ლობიო) გავრცელებულ მავნებლებზე ივლისში;შემდეგი წამლობები ტარდება საჭიროების მიხედვით სიმინდის ნათესებსა და ციტრუსის ბაღებში. ქიმიური წამლობა უნდა ჩატარდეს პრეპარატების გამოყენების წესებისა და ლოდინის პერიოდის მკაცრი დაცვით. მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენება საქართველოში რეგისტრირებული სინთეზური პირეტროიდებისა და ნეონიკოტინოიდების ჯგუფის ინსექტიციდები. მათ შორის, სხვა ქვეყნების გამოცდილებით რეკომენდირებულია ბიფეტრინის შემცვლელი შემდეგი პრეპარატები: ტალსტარი, ზონდერი, ინსაკარი, ბატალიონი, თეიქოფი, კურა-კურა და ხაბლა. პრეპარატების ხარჯვის ნორმაა 0.3-0.6 ლიტრი ჰექტარზე. პრეპარატი მწერის ორგანიზმში მოხვედრისას (კონტაქტური ან ორალური გზით) მოქმედებს მავნებლის ნერვულ სისტემაზე, არღვევს ნერვული სისტემის გამტარიანობას, რის შედეგადაც მწერი პარალიზდება და საბოლოოდ კვდება. დაცვითი მოქმედების ეფექტია 10-14 დღე. წამლობა უნდა ჩატარდეს დილის საათებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა შედარებით დაბალია. დაუშვებელია სამუშაოების ჩატარება ქარიან ამინდში. აღნიშნული პრეპარატების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ღია სივრცეში სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. გამომსვლელმა დასასრულს განაცხადა, რომ მოსახლეობაში დარიგებულია სპეციალური ბუკლეტები, სადაც დეტალურად არის აღწერილი ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიების სქემა და პრეპარატების მოხმარების წესი.

აზრი გამოთქვეს: მ. ფილიპია - გამომსვლელი დაინტერესდა მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებების, (ქიმიური წამლობის) ჩატარების შემდგომ შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მსხვილფეხა პირუტყვის საძოვარზე გაშვება?

ბ. ნაჭყებია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ქიმიური დამუშავება სრულიად უსაფრთხოა მსხვილფეხა პირუტყვისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ინფორმაციის დეტალურად მიწოდებითვის და განაცხადა, რომ განცხადების გაკეთება სურდა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეს ია ჯიშკარიანს.

მოისმინეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ლელა ფიფია არის საჩივრით შემოსული, რომელიც ითხოვს თანადგომას და დახმარებას. მისი განცხადებით, მას ართმევენ მიწის ნაკვეთს, სადაც ელექტროენერგიის მაღალი ბოძი უნდა დაიდგას. მისი განცხადებით მუნიციპალიტეტის მერი საქმის კურსშია და არაფერს აკეთებს მის დასახმარებლად. მომჩივანის განცხადებით მის მფლობელობაშია 6845კვ მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელსაც შპს „კირკიტაძე და კომპანიის“ წარმომადგენლები ართმევენ და ეუბნებიან, რომ მას ეკუთვნის მხოლოდ 3500კვ მეტრი მიწის ნაკვეთი, დანარჩენი კი სახელმწიფოს საკუთრებაშიაო. გამომდინარე აქედან ითხოვს დახმარებას საკრებულოსგან, დაეხმაროს სიმართლის დადგენაში.

ფ. შონია - მაჟორიტარი საკრებულოს წევრი ბიის ადმინისტრაციული ერთეულიდან- გამომსვლელმა განაცხადა, რომ ის სოფლის მაჟორიტარი დეპუტატია და ის ყოველთვის დაიცავს მისი თანასოფლელის ინტერესებს. ის აღნიშნულ საქმეში ჩართულია და როგორც მისთვის ცნობილია სადაო მიწა არის სახელმწიფოს საკუთრებაში. თუ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება ის ყველაფერს გააკეთებს, რომ არ დაიჩაგროს მიწის მეპატრონე (ლელა ფიფია), რაც შეეხება მერის ჩართულობას, აღნიშნული საქმე მის კომპეტენციას ცდება და ის ვერ გადაწყვეტს, რადგან ეს საჯარო რეესტრის პრეროგატივაა.

ე. ჯობავა - გამომსვლელის განცხადებით მაჟორიტარი დეპუტატიც არის ამ საქმეში ჩართული და მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული მოქალაქის ინტერესები მაქსიმალურად იქნება დაცული, მითუმეტეს თუ ყველა დოკუმენტი წესრიგშია და მის საკუთრებას წარმოადგენს აღნიშნული მიწა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თენგიზ აბაკელია
10. მერაბ ფილიპია
11. კახა ლატარია
12. თემურ გულუა
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. ია ჯიშკარიანი
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გოჩა ჯობავა
19. ირაკლი ნადარაია
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. რამინ ხილაძე
24. აკაკი ხურცლავა
25. გიგა ნასარაია
26. კობა გოქაძე
27. იგორ გოგოლაძე
28. ნიკოლოზ ვეკუა
29. ავთანდილ ხუნჯუა
30. კახა მიქაბერიძე
31. მამუკა ჭოხონელიძე
32. მერაბ ნადარაია
33. ფრიდონ შონია
34. გენადი ქაძანაია